საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მიხეილ ჯინჭოლიას* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	88	100

სახელი, გვარი: ლევან მიქაბერიძე

თარიღი: 26.06.2025

ლევან მიქაბერიძე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის მიხეილ ჯინჯოლიას

შ ე ფ ა ს ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევი პროცედურა, ამავე სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 16 მაისის №1/38 განკარგულებით, კანდიდატად დარეგისტრირდა მიხეილ ჯინჯოლია.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 342 მუხლით გათვალისწინებული წესით, კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას გავეცანი სრულყოფილად.

ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

სახელი, გვარი: მიხეილ ჯინჯოლია
ასაკი: 38 წელი
განათლება: უმაღლესი იურიდიული, მაგისტრი (კავკასიის უნივერსიტეტი, 2014 წელი)
სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: 14 წელი
მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების თარიღი: 2020 წლის დეკემბერი
სამუშაო ადგილი: თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

აღნიშნული კრიტერიუმით შეფასებისას გათვალისწინებულია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;

ე) ფინანსური ვალდებულება;

პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების. ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – აგრეთვე სიმართლისმოყვარეობა (35[1] მუხლის მე-4 პუნქტი).

მიხეილ ჯინჯოლიას რეკომენდატორები ახასიათებენ დადებითად, გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებას, შრომისმოყვარეობას, კომუნიკაბელურობას, პუნქტუალურობას, პროფესიონალიზმს და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

კანდიდატი სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებს საკუთარ მოვალეობებს. კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხები და დადებითი საკრედიტო ისტორია. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა. არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა განმარტების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მიხეილ ჯინჯოლიას უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ოთხი ფაქტი (დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, კანდიდატის სახელზე შედგენილია ორი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი (ყველა მათგანი გადახდილია დროულად).

მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელს.

დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – აგრეთვე პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა (35[1] მუხლის მე-5 პუნქტი).

მოძიებული ინფორმაციის შესწავლით დადგინდა, რომ კანდიდატი თავდაჯერებული და პრინციპული პიროვნებაა. შუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება და არის ზეგავლენის მიმართ მედეგი. რაც შეეხება კანდიდატის პოლიტიკურ თუ სხვა ნიშნით მიუკერძოებლობას, მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი. ამასთან, საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას მას არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებელი დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებელს.

პიროვნული და პროფესიული ქცევა

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას — აგრეთვე მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას (35[1] მუხლის მე-6 პუნქტი).

კანდიდატი არის მშვიდი, თავაზიანი და კორექტული. საჯარო მოსმენისას გამოავლინა თავდაჭერილობისა და საკუთარი ემოციების მართვის კარგი უნარი. იცავს სამოსამართლო ეთიკას და გააჩნია მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ინფორმაციის მიხედვით, კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მიხეილ ჯინჯოლიას მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული. საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, კანდიდატი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა.

კოლეგების შეფასებით, მიხეილ ჯინჯოლია გამოირჩევა თავდაჭერილობით და კორექტულობით. რეკომენდატორების შეფასებით, კანდიდატი გაწონასწორებული და ზრდილობიანი პიროვნებაა.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი ემოციურად საკმაოდ სტაბილურია, მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელს.

პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა (35[1] მუხლის მე-7 პუნქტი).

რეკომენდატორები და გამოკითხული პირები მიხეილ ჯინჯოლიას ახასიათებენ დადებითად. იგი სარგებლობს მაღალი მორალური და პროფესიული რეპუტაციით როგორც კოლეგებში, ასევე ზოგადად იურიდიულ წრეებში. ინტერნეტსივრცეში გავრცელებულია სხვადასხვა ინფორმაცია მიხეილ ჯინჯოლიას შესახებ, მის მოსამართლედ განწესებასთან, მათ შორის, უვადოდ განწესებასთან, მის მიერ განხილულ გახმაურებულ საქმეებთან და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელებით.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ მისი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია შეესაბამება მოსამართლის იმიჯს.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელს.

ფინანსური ვალდებულება

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ (35[1] მუხლის მე-8 პუნქტი).

არ გამოვლენილა ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივიჩნევ რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ფინანსური ვალდებულებების მახასიათებელს.

დასკვნა - კეთილსინდისიერების ყველა კრიტერიუმის მახასიათებლით შემოწმებისას მიხეილ ჯინჯოლია შეევაფასე სრულად დადებითად, რის გამოც მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

აღნიშნული კრიტერიუმით შეფასებისას გათვალისწინებულია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლები:
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერის უნარი;
დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;
ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ზ) პროფესიული აქტივობა;

სამართლის ნორმების ცოდნა

სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მის მიერ ცოდნის დონე (35[1] მუხლის მე-9 პუნქტი).

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი იქნა მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი განაჩენები (თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 8 მაისის №1/5796-22 განაჩენი; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 15 ივნისის №1/6857-22 განაჩენი; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 20 ოქტომბრის №1/996-23 განაჩენი), რასაც საფუძვლიანად გავეცანი. აღნიშნული განაჩენები დასაბუთებული და არგუმენტირებულია. გაავანალიზე საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატის მიმართ დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები, რაც საფუძველს მაძლევს დასკვნისათვის, რომ კანდიდატი კარგად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებს. იგი ეცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული. გამოვლინდა მცირედი ხარვეზებიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი უნდა შეფასდეს - 16 ქულით.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და სამოსამართლო გამოცდილების მქონე პროფესიული გამოცდილება, ხოლო მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – აგრეთვე მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა (35[1] მუხლის მე-10 პუნქტი).

განაჩენების გაცნობის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ განაჩენები საკმაოდ დასაბუთებულია. კანდიდატი საკუთარ პოზიციებს აფიქსირებს ნათლად და გარკვევით. გადაწყვეტილებაში კანდიდატის მიერ დაფიქსირებული პოზიციის, სამართლებრივი დასაბუთებისა და ნორმების განმარტებების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ მას გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი. განაჩენები შეესაბამება მისთვის დამახასიათებელ დასაბუთებულობის სტანდარტს. კანდიდატს აქვს სპეციალობით მუშაობის 14 წლიანი, მათ შორის მოსამართლედ 4 წლის და 6 თვის მუშაობის გამოცდილება. სამოსამართლო საქმიანობას ახორციელებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 17 ქულით.

წერის უნარი

წერის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ წერილობითი აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი (35[1] მუხლის მე-11 პუნქტი).

საკუთარ მოსაზრებებს კანდიდატი აფიქსირებს სრულყოფილად, მარტივი და გასაგები ენით. მიხეილ ჯინჯოლიას მიერ გამოტანილი განაჩენების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი აზრს გადმოსცემს გასაგებად, ნათლად, სამართლებრივ დოკუმენტს არ ტვირთავს არამიზნობრივი მსჯელობით. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის ლაკონიურად და გასაგებად გადმოცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ წერის უნარის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 17 ქულით.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი

ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა (35[1] მუხლის მე-11 პუნქტი).

კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესში გამოავლინა კარგი კომუნიკაციის, გამართულად მეტყველების, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. კანდიდატი საუბრობს მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოსცემს ნათლად და მკაფიოდ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 15 ქულით.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევა

პროფესიული თვისებების (მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის) მახასიათებლით სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა (35[1] მუხლის მე 12 პუნქტი).

კანდიდატი არის შრომისმოყვარე, პუნქტუალური და გულმოდგინე. გააჩნია სტრესულ სიტუაციაში მუშაობის და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მიხეილ ჯინჯოლიას საანგარიშო პერიოდში (978 დღე) დასრულებული აქვს 3642 საქმე, დღეში საშუალოდ 3,7 საქმე, მათ შორის, საქმის განხილვის საპროცესო ვადის დაცვით - 100%; გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით 100%; გასაჩივრებული გადაწყვეტილებათა სტაბილურობა - უცვლელი - 95.5%.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 14 ქულით.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა (351 მუხლის მე-13 პუნქტი).

მიხეილ ჯინჯოლიას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის და ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდები, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სასწავლო შეხვედრასა და სემინარში. აქტიურად ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებს და ეროვნულ თუ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას. ყოველივე აღნიშნული კი მეტყველებს კანდიდატის თვითგანვითარების უნარზე, სიახლეების მიმართ ღიაობასა და ახალი

ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესზე. აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ აკადემიური მიღწევებისა პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 4 ქულით.

პროფესიული აქტივობა

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – აგრეთვე სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა (35[1] მუხლის მე-14 პუნქტი).

კანდიდატი მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში, კერძოდ:
2022 წლის 4-5 ივნისი, ბაკურიანი, ევროპის საბჭოს (CoE) საპილოტე სემინარი - „სქესობრივი დანაშაული";
2022 წლის 23-24 ივლისი, კომპლექსი ლოპოტა, ევროპის საბჭოს ოფისის (CoE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მიერ ერთობლივად ორგანიზებულ სემინარი - „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა";
2022 წლის 29-30 ოქტომბერი, კომპლექსი ლოპოტა, ევროპის საბჭოს ოფისის (CoE) სემინარი - „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები და მნიშვნელოვანი განმარტებები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე";
2023 წლის 15-17 მარტი, წინანდალი, სისხლის სამართლის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებული;
2023 წლის 7-9 აპრილი - დანაშაულისა და ძალადობის მოწმე ბავშვები - EU და სხვა.

მიხეილ ჯინჯოლია სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში ღიად და თავისუფლად გამოხატავს საკუთარ პოზიციას და შეხედულებებს. კანდიდატი საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2024 წლის 24 მარტის დადგენილებით არჩეული იქნა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 5 ქულით.

დასკვნა კანდიდატის კომპეტენტურობის შესახებ

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე, კანდიდატ მიხეილ ჯინჯოლიას ვაფასებ - 88 ქულით.

ლევან მიქაბერიძე

თარიღი: 26.06.2026წ.